№2637 2015 წლის 11 დეკემბერი ქ. თბილისი

„შპს „მექანიზატორის“ საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 ნოემბრის №2469 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „შპს „მექანიზატორის“ საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 ნოემბრის №2469 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის გამოყოფილი ასიგნებებიდან, ა(ა)იპ – სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტომ 7 500 000 (შვიდი მილიონ ხუთასი ათასი) ლარი მიმართოს შპს „მექანიზატორის“ ანგარიშზე კაპიტალის გასაზრდელად, შემდგომში შპს „მექანიზატორის“ მიერ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ტექნიკურად გამართვისათვის საჭირო ღონისძიებების დასაფინანსებლად და 2015 წელს წარმოშობილი ვალდებულებების დასაფარად.“.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**